სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1539-03
30/12/2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების, ამ ბრძანებაში 2015 წლის 20 ივლისს N75/ნ ბრძანებით შეტანილი ცვლილებისა და 2015 წლის 12 აგვისტოს N101/ნ ბრძანებით შეტანილი ცვლილების, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2015 წლის 19 ნოემბრის MES 0 15 01214016 წერილის (შემოსვლის თარიღი 24.11.2015 N6196/35), ენობრივ სისწორეზე შემოწმების შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2015 წლის 14 დეკემბრის MES 4 15 01303390 წერილის (შემოსვლის თარიღი 18.12.2015 N6691/35) საფუძველზე

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის და პროფესიული დიპლომის ქვემოთ ჩამოთვლილი ფორმები თავისი რეკვიზიტების განმარტებებითა და დამცავი ნიშნებით:

ა) ბაკალავრის დიპლომი (დანართი 1);

ბ) მაგისტრის დიპლომი (დანართი 2);

გ) დოქტორის დიპლომი (დანართი 3);

დ) უმაღლესი განათლების დიპლომი (დანართი 4);

ე) პროფესიული დიპლომი (დანართი 5);

ვ) დიპლომირებული სპეციალისტის დიპლომი (დანართი 6);

ზ) დიპლომირებული სტომატოლოგის დიპლომი (დანართი 7);

2. **ეს ბრძანება ძალაში შევიდეს და ამოქმედდეს 2016 წლის 4 იანვრიდან;**

3. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 4 აპრილის №03-497 ბრძანება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ“;

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, მკაცრი აღრიცხვის ფორმების შენახვასა და გაცემაზე პასუხისმგებელ პირს, ფაკულტეტებს/სკოლებსა და გამომცემლობას.

გიგა ზედანია

რექტორი